ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1868767

ნომერი: AR1304653

თარიღი : 27.04.2015

გაცემის თარიღი : 30.04.2015

გაცნობის თარიღი : 22.05.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვეკუა , N 1 , (ნაკვეთი 18/075) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჯემალ წურწუმია პ/ნ 65002005500
- ჩოლოყაშვილის 57 კორპ.2 ბ.&

ორგანიზაცია:
- შპს "ს.ბ.კ.ს.ე. ცენტრი" კოდი: 205037645

ნომენკლატურა :

- პავილიონი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს. "საქართველო-ბელორუსიის კულტურულ-სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205037645
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ჯემალ წურწუმია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 65002005500

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 8372.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 191.98
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 631.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 591.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 40.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 3.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 2.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.4

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზის შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ), კერძოდ:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით, საჭიროა წარმოადგინოთ იპოთეკარის სააქციო საზოგადეობა "თიბისი ბანკი"–ს მიერ გაცემული თანხმობა #6 შენობა–ნაგებობის დემონტაჟის შესახებ, რონელიც უნდა აიტვირთოს "ფაილის მიმაგრების ველში". ველში ასევე აიტვირთოს მოიჯარ(ეებ)ის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები დემონტაჟთან დაკავშირებით.

2. .სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები. -> გადამოწმებული იქნას სრულყოფილი სადემონტაჟო პროექტის წარმოდგენის შემდგომ.

3. .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი. : ველში უნდა აიტვირთოს სადემონტაჟო შენობის სრულყოფილი დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი რომელიც მოიცავს : განმარტებით ბარათს: ტერიტორიაზე არსებული შენობების მითითებით, სადემონტაჟო პროცედურის წარმოების თანმიმდევრობის აღწერას და სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებისას მიმდებარე მიწის ნაკვეთებზე არსებული შენობების უსაფრთხოებისა და მათზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის აცილების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას; ასევე მოიცავს სადემონტაჟო შენობის აზომვით ნახაზებს (სრული შემადგენლობით: გეგმები, ფასადები და ჭრილები,) დამოწმებული შესაბამისი სპეციალისტ(ებ)ის მიერ, აწყობილი ერთი pdf ფაილის სახით. pdf ფაილის სახით და დემონტაჟის ორგანიზაციის სამშენებლო გენ-გეგმას. აგრეთვე ველში აიტვირთოს სადემონტაჟო შენობის სხვადასხვა რაკურსიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.